საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 2182-03
06/11/2023

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანებაში - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, ნინო მატარაძის №17080-35; 02.10.2023 წ.) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;
2. შევიდეს ცვლილება და დამატება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანების დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე დართული რედაქციის შესაბამისად;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ფაკულტეტებს/სკოლას და შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს;
4. დაევალოს შესაბამის სამსახურებს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.
5. დაევალოს კანცელარიას ბრძანების გაცნობა, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, იურიდიული სამსახურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის, ფაკულტეტების/სკოლების და ადმინისტრაციის სამდივნოსათვის.

*ქეთევან ლაკირბაია*

*ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*